სამხედრო ყოფნა ავღანეთში პოტენციალის ზრდა თანამშრომლობის გაფართოება

რიგის სამიტი, რომელიც 2006 წლის 28–29 ნოემბერს გაიმართა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ნატო–ს ცხოვრებაში. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ნატო–ს წევრი 26 სახელმწიფოს მეთაურები სამიტზე უკვე მერვედ შეიკრიბნენ. ამასთან, ეს შეკრება პირველად გაიმართა ნატო–ში ამ ორგანიზაციის გაფართოების ერთ–ერთი ბოლო ტალღის დროს გაწევრიანებული ქვეყნის დედაქალაქში. ნატოს გენერალური მდივნის იაააპ დე ჰოოპ სხეფერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის, რომ სამიტი დემოკრატიულ და თავისუფალ ლატვიაში იმართება, იმის საუკეთესო დემონსტრაციაა, თუ რამდენად შეიცვალა ევროპა უკეთესობისაკენ“.

ლატვიის დედაქალაქში ალიანსის ლიდერებმა დაადასტურეს, რომ ნატო ავღანეთში მისიის შესრულებას გააგრძელებს, და საერთაშორისო საზოგადოებრიობას მისიაში უფრო ფართო მონაწილეობისაკენ მოუწოდეს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ნატო–ს სამხედრო პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად და დამტკიცდა ინიციატივები, რომლებიც მიზნად პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებასა და გაფართოებას ისახავს. ამით ალიანსმა ცხადყო, რომ აქვს უნარი XXI საუკუნის ახალ გამოწვევებს უპასუხოს.

რიგაში ნატო–ს ლიდერებმა „ყოვლისმომცველი პოლიტიკური პროგრამა“ დაამტკიცეს. ამ დოკუმენტში აღწერილია ალიანსის პოლიტიკა, განსაზღვრულია მისი შესაძლებლობების შესაბამისი პრიორიტეტები, დაგეგმილია საწვრთნელი და საინფორმაციო საქმიანობა მომავალი 10 და მეტი წლის განმავლობაში. პროგრამაში, რომლებიც ალიანსის 1999 წლის სტრატეგიული კონცეფციის დანართია, აღნიშნულია, რომ მიმოხილვად მომავალში ალიანსისათვის უმთავრესი საფრთხეებია საერთაშორისო ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების გავრცელება, ასევე არშემდგარი და სუსტი ქვეყნები, რეგიონული კრიზისები, უახლესი ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების შემოდინების შეფერხება.

ამის გათვალისწინებით, პროგრამა განსაზღვრავს, თუ რა სახის ოპერაციების განხორციელება უნდა შეეძლოს ალიანსს და რა პოტენციალი დასჭირდება ამისათვის: ნატო–ს ძალები კვლავაც დაბალანსებული, მოქნილი და სწრაფი უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ფართო სპექტრის როგორც დაბალი, ისე მაღალი ინტენსივობის მისიების შესრულება. მითითებებში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ ნატო–ს შეიძლება დასჭირდეს ფართო სპექტრის მცირე ოპერაციების უფრო ხშირად ჩატარება.

რიგის სამიტის ჩატარების დროისათვის ალიანსი სამ კონტინენტზე ექვს მისიასა და ოპერაციას ასრულებდა: უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ოპერაციას ავღანეთში, სამშვიდობო ოპერაციას კოსოვოში და ოპერაციას Active Endeavour ხმელთაშუა ზღვაში. ამას გარდა, გახსნილი იყო ნატო–ს შტაბ–ბინა სარაევოში და ნატო–ს საწვრთნელი მისია ერაყში. ნატო დახმარებას უწევს აფრიკის კავშირის მისიას სუდანში. სამიტის მსვლელობის დროს ალიანსის ლიდერებმა ზემოხსენებულ ღონისძიებებში იმ დროისათვის მონაწილე ჯარისკაცებისა და სხვა 50 ათასი ადამიანის დამსახურება აღნიშნეს და წუთიერი დუმილით დაჭრილებსა და დაღუპულების ხსოვნასაც სცეს პატივი.

> ნატო–ს მისია ავღანეთსა და კოსოვოში გაგრძელდება

რიგის სამიტი 28 ნოემბერს სამუშაო ვახშმით დაიწყო. ძირითადი ყურადღება ნატო-ს უმთავრეს პრიორიტეტს, ავღანეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას დაეთმო. ალიანსის ლიდერებმა დაადასტურეს, რომ ამ მიზნის მიღწევაში ერთობას სამომავლოდაც შეინარჩუნებენ. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია გადაილახოს ცალკეული ქვეყნების წინააღმდეგობა იმის თაობაზე, თუ როგორ, როდის და სად შეიძლება ძალების გამოყენება, რათა ნატო–ს ხელმძღვანელობით ჩატარებული უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ოპერაციის ეფექტურობა კიდევ უფრო გაიზარდოს. ნატო–ს ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, საგანგებო სიტუაციებში ყოველი მოკავშირე ქვეყანა დაეხმარება ძალებს, რომლებსაც დახმარება ესაჭიროება. რამდენიმე ქვეყანამ პირობა დადო, რომ დამატებით გამოყოფს დახმარებას საბრძოლო თვითმფრინავების, ვერტმფრენების, ფეხოსანთა ასეულებისა და ავღანეთის ეროვნული არმიის წვრთნისათვის აუცილებელი ინსტრუქტორების სახით.

ნატო-ს ლიდერებმა აღიარეს, რომ ავღანეთის აღდგენასა და განვითარებას ამ ქვეყანაში გრძელვადიანი სტაბილურობის დასამყარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, და საერთაშორისო თანამეგობრობას ამ პრობლემის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური შემადგენლების გადაწყვეტაში უფრო ფართო მონაწილეობისაკენ მოუწოდეს. „განვითარების გარეშე ავღანეთში უსაფრთხოება ვერ დამყარდება, ხოლო განვითარება უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია“, – ნათქვამია სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში. ნატო-ს ლიდერები მიესალმნენ წინადადებას საკონტაქტო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების განსახილველად ამ ჯგუფში პროცესში მონაწილე ძირითადი ძალების წარმომადგენლები უნდა შეიკრიბონ. ამ იდეის განსახორციელებლად აცილებელი ზომების შემუშავება ნატო-ს გენერალურ მდივანს დაევალა.

ალიანსის ლიდერებმა ასევე განიხილეს კოსოვოში განლაგებული ნატო-ს ძალების საკითხი და დაადასტურეს, რომ ალიანსი მზადაა კოსოვოს სტატუსის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეიტანოს. ნატო-ს ლიდერებმა განმარტეს, რომ ისევე როგორც ავღანეთში, წარმატება კოსოვოში მხოლოდ საერთო ძალისხმევის შედეგად თუ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ნატო-ს მიერ გატარებული ზომები კოსოვოში მმართველობის სისტემისა და რეფორმების მხარდაჭერის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის კავშირისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გატარებულ ზომებთან მომავალშიც შეთანხმებული იქნება.

> ნატო-ს რეაგირების ძალების სრული მზადყოფნა

რიგაში ალიანსის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ნატო-ს რეაგირების ძალები სრულ მზადყოფნაშია. საუკეთესო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ეს ძალები შედგება სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების კომპონენტებისაგან, რომელთა განლაგება ალიანსს ნებისმიერ რეგიონში ძალიან სწრაფად შეუძლია. ამ ძალებს აქვთ უნარი მთელ მსოფლიოში განახორციელონ ოპერაციების მთელი სპექტრი, მაგალითად, მოახდინონ მოსახლეობის ევაკუაცია, დახმარება გაუწიონ მოსახლეობას ბუნებრივი კატასტროფების დროს, შეებრძოლონ ტერორიზმს, ან მოამზადონ საფუძველი ამა თუ იმ რეგიონში უფრო მსხვილი ძალების შესასვლელად. ნატო-ს რეაგირების ძალების შემადგენლობაში შეიძლება 25 ათასი მებრძოლი იყოს. მათ შეუძლიათ შეტყობინებიდან ხუთი დღის განმავლობაში დაიწყონ შესვლა ამა თუ იმ რეგიონში და აწარმოონ იქ ოპერაციები 30 დღის განმავლობაში ან, შესაბამისი მხარდაჭერის შემთხვევაში, უფრო დიდხანსაც.

ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით, ის ფაქტი, რომ რეაგირების ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია „დიდი მიღწევაა, რადგან ევროატლანტიკურ თანამეგობრობას ეს უპრეცედენტო შესაძლებლობებს უქმნის“. რიგის სამიტზე ნატო-ს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად გამოყოფენ ფინანსებს იმ შემთხვევებში, როცა რეაგირების ძალების ამა თუ იმ რეგიონში სასწრაფო განლაგების აუცილებლობა წარმოიქმნება. ამ შეთანხმებამ ქვეყნებს ამ ძალებში მომავალში განსახორციელებელ როტაციებში მონაწილეობის სტიმული უნდა მისცეს.

შეთანხმებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჰაერო გადაზიდვებს, რომლებიც, გენერალური მდივნის თქმით, ოპერაციის ყველაზე „ძვირადღირებული ნაწილია“. სამიტის მიმდინარეობისას რიგის აეროპორტში „ბოინგ C-17“ იდგა. ნატო-ს 14 ქვეყანასა და შვედეთს განზრახული აქვთ ნატო-ს „საჰაერო გადაზიდვების პოტენციალის“ პროგრამის ფარგლებში ერთობლივად შეისყიდონ და გამოიყენონ ოთხი „ბოინგ C-17“. ეს პროგრამა შეავსებს ამჟამად მოქმედ „სტრატეგიული საჰაერო გადაზიდვების საშუალედო“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც რუსულ-უკრაინული An-124 ტიპის თვითმფრინავები გამოიყენება. არსებობს კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც A400M ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდის ასაგებლად ძალების კოორდინაციას ითვალისწინებს.

ნატო-ს რეაგირების ძალებისა და ალიანსის სხვა ძალების დასაცავად მომავალში ნატო-ს ბალისტიკური რაკეტებისაგან აქტიური დაცვის ეტაპობრივი ტაქტიკური სისტემა იქნება გამოყენებული. ამ სისტემის შესაქმნელად 75 მილიონი ევროს ღირებულების ტექნიკურ და ზოგად კონტრაქტს ნატო-მ და პროგრამაზე მომუშავე სამრეწველო ჯგუფის ლიდერმა, გამოყენებითი მეცნიერების საერთაშორისო კორპორაციამ (SAIC), ხელი რიგაში მოაწერეს. ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ასამოქმედებლად 2010 წელს იქნება მზად.

რიგის სამიტზე ნატო-ს ლიდერებმა წამოაყენეს სპეციალური ოპერატიული ძალების ტრანსფორმაციის ინიციატივა, რომლის მიზანია ერთობლივი წვრთნების ჩატარება და დოქტრინის

ერთობლივად შემუშავება, შეიარაღების გაუმჯობესება და ერთობლივი მუშაობის გაღრმავება. მოკავშირეებმა დაგეგმეს აგრეთვე სამუშაოები რამდენიმე სხვა სფეროში, რომლებიც თანამედროვე ოპერაციების დროს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ სფეროებს შორისაა ჰაერი-მიწა ტიპის მეთვალყურეობა, ლოგისტიკა და სადაზვერვო მონაცემების გაზიარება. ესა და სხვა სფეროების ფართო სპექტრი წარმოდგენილი იყო სამიტის დროს გამართულ შესაბამის გამოფენაზე იმის საჩვენებლად, თუ როგორ მიმდინარეობს ნატო-ს ტრანსფორმაცია.

ცხადია, ტრანსფორმაციისათვის ფულია საჭირო. რიგის სამიტის დეკლარაციაში გამოხატულია მოკავშირეების მზადყოფნა განაგრძონ აუცილებელი სახსრების გამოყოფა როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად, რათა ნატო-მ შეძლოს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება. ამ მიზნით მათ მოუწოდეს ორგანიზაციის იმ წევრებს, რომელთა თავდაცვის ხარჯები მცირდება, რეალურად გაზარდონ ეს ხარჯები.

> ახალი პარტნიორების მოწვევა

რიგის სამიტზე ნატო-ს ლიდერები „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამასა და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში სამი ქვეყნის – ბოსნია-ჰერცეგოვინას, ჩერნოგორიისა და სერბეთის მოწვევის თაობაზე შეთანხმდნენ. გენერალური მდივნის განცხადებით, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობა ამ ქვეყნებს „ევროატლანტიკურ ოჯახთან უფრო დააახლოებს“. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ მათთვის კვლავაც აუცილებელია ყოფილი იუგოსლავიის საქმეების შემსწავლელი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალთან თანამშრომლობა.

იმ ქვეყნებს, რომლებიც გაწევრიანების სამოქმედო პროგრამას ახორციელებენ – ალბანეთს, ხორვატიასა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას*, ნატო-ს ლიდერებმა, გენერალური მდივნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნათელი სიგნალი“ მისცეს, რომ ნატო-ს მორიგ, 2008 წლის სამიტზე

„ალიანსი თავის რიგებში იწვევს ქვეყნებს, რომლებიც ნატო-ს ოპერატიულ სტანდარტებს აკმაყოფილებენ და ევროატლანტიკურ უსაფთხოებასა და სტაბილურობაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ“.

რიგის სამიტზე ალიანსის ლიდერების მუშაობა ნატო-ს პარტნიორობის ჩარჩოების პოლიტიკური და პრაქტიკული პოტენციალისა და საკონტაქტო ქვეყნებთან, მაგალითად ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან და იაპონიასთან, ალიანსის ურთიერთობის სრულად განვითარებისაკენ იყო მიმართული. გასატარებელი ზომების მეშვეობით კონსულტაციები უფრო კონკრეტული გახდება, შეხვედრების ფორმატი – უფრო მოქნილი, ხოლო პარტნიორებთან ურთიერთობის მიღებული ჩარჩოები, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის დიალოგის პროცესი და სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა, ახალ პარტნიორებთან და საკონტაქტო ქვეყნებთან ურთიერთობებშიც იქნება გამოყენებული.

იმ ქვეყნების სამხედრო პირების მომზადების დონის ამაღლების მიზნით, რომლებიც ალიანსთან ხმელთაშუა ზღვის დიალოგის პროცესსა და სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივაში არიან ჩაბმული, რიგის სამიტზე ალიანსის ლიდერებმა შეიმუშავეს სამხედრო მომზადების სფეროში თანამშრომლობის ინიციატივა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. თავდაპირველად გაიზრდება სამხედროების მონაწილეობა ნატო-ს არსებულ საწვრთნელ, საგანმანათლებლო და პარტნიორობის პროგრამებში, ხოლო ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში რომში ახლო აღმოსავლეთის ფაკულტეტი გაიხსნება. მეორე ეტაპზე კი ნატო, სავარაუდოდ, სასწავლო ცენტრის გახსნას თვით ახლო აღმოსავლეთში შეძლებს.

და ბოლოს, რიგის სამიტზე ალიანსის ლიდერები მიესალმნენ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე ინტენსიური დიალოგის დაწყებას. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს ნატო-უკრაინის საგანგებო პარტნიორობის მნიშვნელობა და აღნიშნეს ამ ქვეყანასთან ინტენსიური დიალოგის ფარგლებში მიღწეული წარმატებები. ალიანსის წევრებმა ხაზი გაუსვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ნატო-რუსეთის პარტნიორობის შემდგომი გაღრმავება და ნატო-რუსეთის საბჭოს პოტენციალის

სრულად გამოყენება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია ნატო-სა და ევროპის კავშირს შორის უფრო ინტენსიური და მჭიდრო თანამშრომლობა, ხოლო გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ავღანეთი და კოსოვო „ის ორი სფეროა, სადაც ეს თანამშრომლობა ნამდვილად აუცილებელია“.

ლატვიის სამიტზე ნატო-ს ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ აუცილებელია მჭიდრო ურთიერთობების არსებობა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას შორის და ხაზი გაუსვეს თავიანთ სურვილს განაგრძონ ალიანსის ტრანსფორმაცია. სამიტზე მიღებული დეკლარაციის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „გადაწყვეტილებები, რომლებსაც ჩვენ ერთად ვიღებდით, შესრულებულ სამუშაოსთან ერთად, იმის მაჩვენებელია, რომ ალიანსი ესადაგება XXI საუკუნის უსაფრთხოების მოთხოვნებს თავისი ოპერაციებით, გაძლიერებული თავდაცვითი შესაძლებლობებით, უწყვეტი შინაგანი რეფორმებითა და უფრო ღრმა კავშირებით როგორც თვით ევროატლანტიკურ არეალში, ისე მის გარეთ. ეს ზომები გააძლიერებს ჩვენს მისიას ავღანეთში და ალიანსის პოტენციალს სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. მომავალი ჩვენი შეხვედრა 2008 წლის გაზაფხულზე შედგება. მასზე მიღწეული წარმატებები შეფასდება და ნატო-ს ტრანსფორმაციისა და გაფართოების პროცესის შემდგომი მიმართულებები დაისახება“.

* თურქეთმა მაკედონიის რესპუბლიკა მისი კონსტიტუციური სახელწოდებით ცნო.

NATO Public Diplomacy Division
1110 Brussels – Belgium
Website: www.nato.int
Email: natodoc@hq.nato.int

Division Diplomatie publique de l'OTAN
1110 Bruxelles – Belgique
Site web : www.otan.nato.int
Courriel : otandoc@hq.nato.int

© NATO/OTAN 2006

NATORIGGEO1206